დამტკიცებულია
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი
,,ახალი ტალღა“
დირექტორის
2017 წლის 15 ნოემბრის
N 01-04/166 ბრძანებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე

040680

მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
ელ-ფოსტა: kobcollege.@gmail.com
T – 26 68 51
პროგრამის ხელმძღვანელი: პედაგოგი რომან მემარნე

ქობულეთი
2017 წ.

I. **სახელწოდება:** თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 07301-პ

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე პროფესიული სტანდარტი

V. **დაშვების წინაპირობა :** საბაზო განათლება

VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის დიზაინერულ და სამშენებლო -სარემონტო კომპანიებში ან იყოს თვითდასაქმებული.

VII. **მიზანი:**

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს თაბაშირმუყაოს სპეციალისტის კომპეტენტური კადრების მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს და აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად ზოგად უნარებს, გარდა ამისა, არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღრმავოს პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინოს დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს სტუდენტთა მობილობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

VIII. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია ტიხრების კონსტრუქციის, შეკიდული ჭერების, კედლის კონსტრუქციის და ასაწყობი იატაკების მონტაჟი, მანსარდის მოპირკეთება, მრუდწირული კონსტრუქციების აგება, ფილების/პანელების მონტაჟი სამონტაჟო წებოთი

IX. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შემადგენლობა:**

თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 65 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები, 46 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები, ხოლო 3 კრედიტი არჩევითი მოდულები.

მესამე საფეხურის პროგრამებში: „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 80 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” მოდულის სწავლებისათვის.

X. სტრუქტურა და მოდულები :

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	2	შემოსვითი და დასაჭიმი ჭერების მონტაჟი	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	5		
მეწარმეობა 1	2	მოსაპირკეთებელი მასალები და კალკულაცია	3		
უცხოური (ინგლისური) ენა	4	სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და ესკიზის შედგენა თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისას	2		
სამოქალაქო განათლება	2	შრომის უსაფრთხოება თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისას	2		
		ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი	6		
		შეკიდული ჭერების მონტაჟი	4		
		კედლის კონსტრუქციის მონტაჟი	3		
		ფილების/პანელების მონტაჟი სამონტაჟო წებოთი	2		

		ასაწყობი იატაკის მონტაჟი	2		
		მანსარდის მოპირკეთება	3		
		მრუდწირული კონსტრუქციების აგება	4		
სულ:	**16**	**სულ:**	**46**	**სულ:**	**3**

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ პრეროგატივას.
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი ,, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე".

დანართი №1 – სასწავლო გეგმა
დანართი №2 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
დანართი №3 – ინფორმაციული წიგნიერება 1
დანართი №4 – რაოდენობრივი წიგნიერება
დანართი №5 – მეწარმეობა 1
დანართი №6 – ინგლისური ენა
დანართი №7 – ინტერპერსონალური კომუნიკაცია
დანართი №8 – სამოქალაქო განათლება
დანართი №9 - ქართული ენა A2
დანართი №10 –გაცნობითი პრაქტიკა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე
დანართი №11 –საწარმოო პრაქტიკა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე
დანართი №12 –პრაქტიკული პროექტი - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟ
დანართი №13 –მოსაპირკეთებელი მასალები და კალკულაცია
დანართი №14 –სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და ესკიზის შედგენა თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისას
დანართი №15 –შრომის უსაფრთხოება თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისას
დანართი №16 –ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი
დანართი №17 –შეკიდული ჭერების მონტაჟი
დანართი №18 –კედლის კონსტრუქციის მონტაჟი
დანართი №19 –ფილების/პანელების მონტაჟი სამონტაჟო წებოთი
დანართი №20 –ასაწყობი იატაკის მონტაჟი
დანართი №21 –მანსარდის მოპირკეთება
დანართი №22 –მრუდწირული კონსტრუქციების აგება
დანართი №23 –შემოსვითი და დასაჭიმი ჭერების მონტაჟი